



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000086716758519

№ 33-ი

07 / ივნისი / 2019 წ.

განკარგულება

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და განაშენიანების კონცეფციის, ტურისტული ინფრასტრუქტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე მოსახლეობის მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების (პარკების) და სპორტული მოედნების მოწყობა-დაგეგმარების, დროებითი სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით :

მუხლი 1

შეიქმნას საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 2

სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს სამი თვით.

მუხლი 3

სამუშაო ჯგუფი არჩეულ იქნას შემდეგი შემადგენლობით:

- ა) თავმჯდომარე - თორნიკე ტალახაძე;
- ბ) წევრები: გიორგი ენუქიძე, ივანე ხაჩიძე, სიმონ კვერნაძე, ლაშა მახათაძე, ფირუზი გელაშვილი, ნინო კუპრაშვილი, სალომე ღონღაძე, გიორგი ღამბაშიძე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად



კარლო ჯამბურია